დანართი 1

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. ფოტოსურათი 3x4;

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის ან ID ბარათის) დედანი და ასლი;
   - უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის - პასპორტის ან პირადობის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დედანი და ასლი;

3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;
   - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის;

4. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) დედანი და ასლი;
   - სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

5. არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, წარსადგენია პირის დაბადების მოწმობა ასლთან ერთად და სავალდებულოა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან დოკუმენტი ასლთან ერთად.